

➤ **ვაკანსიის დასახელება:** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი

➤ **შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა:**

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების დროს, პანსიონში ცხოვრებისას და/ან სამეწარმეო პრაქტიკის განხორციელებისას

კერძოდ:

– შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დამოუკიდებელი ფუნქციონირების უნარების (მობილობა, კომუნიკაციის, თვით-მოვლის უნარები) შეფასება;

– პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და პრაქტიკის მიმღები ორგანიზაციის ფიზიკური გარემოს შეფასება, საჭირო ცვლილებების გეგმის შემუშავება;

– პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და პრაქტიკის მიმღები ორგანიზაციის ფიზიკური გარემოს ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით სტუდენტის დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხარისხის გაზრდის მიზნით;

– სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება სტუდენტის სასწავლო და თვით მოვლის აქტივობებში დამოუკიდებელი ფუნქციონირების ხარისხის გაზრდის მიზნით;

– კომპლექსური ადაპტაციების შემთხვევაში რეკომენდაციების წარდგენა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის წინაშე;

– შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო გარემოში და პრაქტიკის მიმღებ ორგანიზაციაში დამოუკიდებლად ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად;

– განსაზღვრული მიზნების მიმართულებით ინტერვენციის განხორციელება: შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უნარების გავარჯიშება საგანმანათლებლო გარემოში ადაპტირების მიზნით;

– შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა (დახმარება) სასწავლო და პრაქტიკის პროცესთან დაკავშირებული აქტივობების და ყოველდღიური აქტივობების (მობილობა, ორიენტაცია, კვება, ჩაცმა-გახდა, ტუალეტი, კომუნიკაცია) განხორციელების პროცესში;

– პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის და სტუდენტის დამოუკიდებელი ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის განსაზღვრული (დავალებული) აქტივობების განხორციელება;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერა მულტიდისციპლინური გუნდური მიდგომით (პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთან და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან, მშობელთან) თანამშრომლობა ეთიკური პრინციპების დაცვით,
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა შეფასების, განხორციელებული ინტერვენციის და მხარდაჭერი აქტივობების დოკუმენტირება,

შენიშვნა:

აღნიშნულ პოზიციაზე შერჩევის შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგებში მონაწილეობის მიღება.

➤ პასუხისმგებლობის საზღვრები

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი ანგარიშვალდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ადმინისტრაციასთან;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი ვალდებულია შეათანხმოს ყველა გადაწყვეტილება საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ადმინისტრაციასთან;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი ვალდებულია წარუდგინოს ყოველთვიური ანგარიში საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ადმინისტრაციას.

➤ სამუშაო პირობები

სარგო: 625 ლარი

სამუშაო დატვირთვა: სრული განაკვეთი

სამსახურის ადგილმდებარეობა: თბილისი: ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“.

ადგილების რაოდენობა: 1

სამუშაოს შესრულების პერიოდი: 2018 წლის ივნისიდან

➤ საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სასურველი პროფესია: მასწავლებელი, ოკუპაციური თერაპევტი, სოც. მუშაკი

სასურველი საგანმანათლებლო ხარისხი: ბაკალავრი სოციალურ მეცნიერებებში, განათლების, რეაბილიტაციის ან რომელიმე სხვა დაკავშირებულ სფეროში.

სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არა უმცირეს ორწლიანი გამოცდილება სოც უზრუნველყოფის, რეაბილიტაციის, განათლების ან ინკლუზიური განათლების სფეროში. დაიშვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან აღმზრდელად ან მასწავლებლებად მუშაობის გამოცდილების მქონე პირები.

მინიმალური კომპეტენცია: „საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის)“, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“

სასურველი უცხო ენა: რუსული ენა და/ან ინგლისური ენა

➤ სხვა სპეციალური მოთხოვნები

– საჯარო სკოლებში, სპეციალიზირებული პროფილის მქონე სკოლებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დღის ცენტრებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება;

– კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ფუნქციური უნარების შეფასებისა;

– კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის და განხორციელების;

– კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეაბილიტაციის და/ან სწავლების.

➤ დამატებითი ინფორმაცია

უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც დამატებით:

- აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის გამოცდილება პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების საქმეში;
- აქვს ინკლუზიურ განათლების-სფეროში ტრენინგ კურსების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები
- აქვს გავლილი სტაჟირება ინკლუზიური განათლების სფეროში;
- აქვს პროფესიული განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილება

➤ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- ავტობიოგრაფია
- სამოტივაციო წერილი
- სარეკომენდაციო წერილი წინარე დასაქმების ადგილიდან
- პირადობის მოწმობის ასლი
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომის ასლი)

– კვალიფიკაციის სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები

➤ საბუთების მიღება წარმოებს შემდეგ მისამართზე:

თბილისი 0159, მარშალ გელოვანის 4, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“.

➤ საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 10 ივნისი